აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ მე-14 შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ამ საკითხს გავლენა არ მოუხდენია ჩვენს მოსაზრებაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენს

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის

ჩვენს ყურადღებას

დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 21 მაისი

ჩუგუან ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნები	2017	2016
გაყიდვები	4	35,082,922	48,619,676
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	5	(33,118,598)	(44,620,263)
საერთო მოგება		1,964,324	3,999,413
ცვლილებები საგარანტიო რეზერვში	15	38,798	(398,176)
საოპერაციო ხარჯები	6	(1,438,317)	(2,246,579)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		564,805	1,354,658
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		34,469	-
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(67,209)	(813,446)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10	5,197	2,167
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	13	(886,867)	(208,779)
(ზარალი) / მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		(349,605)	334,600
მოგების გადასახადის ხარჯი	7	-	(529,483)
წლის ზარალი		(349,605)	(194,883)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული ზარალი		(349,605)	(194,883)

ხელმოწერილი და დამტკიცებულია შპს „ACC Distribution“ სახელით 2018 წლის 21 მაისს:

აღმასრულებელი დირექტორი
გიორგი კვახაძე

ფინანსური მენეჯერი
ვერა ტაბიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

აქტივები	შენიშვნები	2017	2016
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		191,363	189,405
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>191,363</u>	<u>189,405</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	5,437,785	5,425,167
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	9	3,890,916	5,519,984
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		260,946	514,051
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	1,627,847	270,487
სულ მიმდინარე აქტივები		<u>11,217,494</u>	<u>11,729,689</u>
სულ აქტივები		<u>11,408,857</u>	<u>11,919,094</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		5,000	5,000
აკუმულირებული ზარალი		(382,219)	(32,614)
სულ კაპიტალი	11	<u>(377,219)</u>	<u>(27,614)</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	12	121,772	798,293
პროცენტიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	13	10,673,850	9,257,941
საგადასახადო დავალიანება		744,477	1,305,390
სახელფასო ვალდებულებები		39,485	98,722
საგარანტიო რეზერვი	15	206,492	486,362
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>11,786,076</u>	<u>11,946,708</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>11,408,857</u>	<u>11,919,094</u>

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

პს „ACC Distribution“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული ზარალი)	სულ
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,000	162,269	167,269
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(194,883)	(194,883)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,000	(32,614)	(27,614)
წლის სრული ზარალი	-	(349,605)	(349,605)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,000	(382,219)	(377,219)

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნები	2017	2016
(ზარალი) / მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		(349,605)	334,600
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა			
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	6	74,558	80,847
სავაჭრო და სხვა სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურება/(შემობრუნება)		(3,317)	-
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	9	10,815	(401)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13	886,867	208,779
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(5,197)	(2,167)
საგარანტიო რეზერვის (შემობრუნება) / დარიცხვა		67,209	813,446
წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები		(38,798)	398,176
		14,980	98,537
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(27,598)	(624,882)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებში		1,618,253	429,200
ცვლილება გადახდილ ავანსებსა და სხვა აქტივებში		253,105	(432,587)
ცვლილება სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებებში		(676,521)	(10,379,401)
ცვლილება სახელფასო ვალდებულებებში		(59,237)	19,906
ცვლილება საგადასახადო დავალიანებებში		(560,913)	379,776
ცვლილებები საგარანტიო რეზერვში		(241,072)	(462,317)
წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტის და გადასახადის გადახდამდე		963,529	(9,138,488)
მიღებული პროცენტი			
გადახდილი პროცენტი		5,197	2,167
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(873,554)	(208,779)
		95,172	(9,345,100)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა			
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(106,799)	(30,980)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		33,600	-
		(73,199)	(30,980)
ფინანსური საქმიანობა			
აღებული სესხები			
ნასესხები სახსრების დაფარვა		30,516,670	19,228,280
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(29,114,074)	(9,970,339)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		1,402,596	9,257,941
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		1,424,569	(118,139)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	10	(67,209)	(810,982)
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	10	270,487	1,199,608
		1,627,847	270,487

7-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ხაჯან ახიშია

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ACC Distribution“ (შემდგომში, „კომპანია“) არის თბილისში, საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო „UAB ACC Distribution“ (შემდგომში, „მშობელი კომპანია“). კომპანიის საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენს „ACME Grupe UAB“ (შემდგომში, „საბოლოო მაკონტროლებელი მხარე“), ლიტვაში მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის პირი.

კომპანიის იურიდიული მისამართია ჭყონდიდელის ქუჩა 26, თბილისი, 0180, საქართველო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა კომპიუტერებითა და მათი შემადგენელი ნაწილებით, საკომუნიკაციო სისტემებით, საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და ელექტროაპარატურით საბითუმო ვაჭრობა საქართველოს ტერიტორიაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორების მიერ. პარტნიორებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ მისი გამოშვების შემდეგ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთლიან რიცხვამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

რეკლასიფიკაცია

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, საგარანტიო ხარჯების უფრო მეტი სიზუსტით წარდგენის მიზნით, კომპანიამ ხელახლა განიხილა თავისი სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენა. შედარებადი ფინანსური მონაცემების წარდგენა დაკორექტირდა მიმდინარე პერიოდის თანხების წარდგენის დასადასტურებლად:

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	კორექტირებამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
საოპერაციო ხარჯები	(2,644,755)	398,176	(2,246,579)
ცვლილებები საგარანტიო რეზერვში	-	(398,176)	(398,176)

ჩუკუა ნიჭიერი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ განხილული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა შემდეგი ახალი და შეცვლილი ფასს და ფაისკ ინტერპრეტაციებისა, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში:

ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების პირველად აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სხვაობები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება, განურჩევლად გადახდის განხორციელების თარიღისა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის მოვალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს საკრედიტო რისკებს.

შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადადის მყიდველზე, ჩვეულებრივ, საქონლის მიწოდების მომენტში. საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხებისა და რეზერვების, სავაჭრო ფასდათმობის და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით. ყველა თავის პროდუქტზე კომპანია კლიენტებს სთავაზობს სამწლიან ჩვეულებრივ საგარანტიო რეზერვებს ზოგადი შეკეთებისთვის, რაც თანხვედრაშია შესაბამის ინდუსტრიაში დამკვიდრებულ პრაქტიკასთან. პოტენციური საგარანტიო მოთხოვნების ვალდებულების აღიარება ხდება პროდუქტის გაყიდვის დროს. კომპანია კლიენტებს არ სთავაზობს გრძელვადიან გარანტიებს ან ტექნიკური მომსახურების ხელშეკრულებებს.

ქავან ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-7 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები შემოსავლების ანგარიშგების საოპერაციო ხარჯების მუხლში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ დებიტორული ანგარიშების და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წინასწარ გადახდილი გადასახადების ან სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ბაჟან ყიფილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(დ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს, საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ყველა ფინანსური აქტივი პირველადი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დახარჯები, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აღრიცხულია მოგებასა და ზარალში.

ხავეზ ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია როგორც ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სავაჭრო დებიტორული ანგარიშები.

სავაჭრო დებიტორული ანგარიშები

სავაჭრო დებიტორული ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. პირველადი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მუხლში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი საოპერაციო ხარჯების მუხლში აისახება.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა; ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. იმ შემთხვევაში, როდესაც არ მომხდარა აქტივის არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის, აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, კომპანია განაგრძობს გადაცემული აქტივის აღიარებას მის მიერ ამ აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების შეფასება ხდება იმ საფუძველით, რომელიც ასახავს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

ბაიზნ კონტროლი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ნებისმიერი გაუფასურების ზარალი აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის ოდენობა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა გრძელდება შემცირებულ საბალანსო ღირებულებაზე, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებული საპროცენტო განაკვეთით, გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით. საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. აქტივები შესაბამის რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია კომპანიისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში მოსალოდნელი გაუფასურების ზარალი იმატებს ან იკლებს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენიდან გამომდინარე, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალის იმატებს ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი დაკრედიტდება საოპერაციო ხარჯებში.

ბაჟან ყაჩაღი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო კრედიტორული დავალიანებისგან და პროცენტული სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან.

პირველადი აღიარების შემდეგ, ფინანსური ვალდებულების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

ჩაფიქრებული

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(iv) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა ვარაუდს, რომ აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაცია ხორციელდება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითადი ბაზარის არარსებობის პირობებში, აქტივისა და ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებით შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასები განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების და, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

ბაჟან ყიფილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დარიცხული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. თვითღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორცაა შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

ავტოსატრანსპორტო საშუალებები
სხვა ძირითადი საშუალებები

5-10 წელი
2-6 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს, ან შეიცავს, იჯარას, თუ ამ შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე ან შეთანხმება გულისხმობს აქტივის გამოყენების უფლების გადაცემას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული უფლება შეთანხმებაში ცალსახად არ არის დაკონკრეტებული.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ხავეზა ყიფიშვილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან

ყველა გარიგება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან ფასდება თვითღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს ანაზღაურებას, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

(ი) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

თვითღირებულება განისაზღვრება „პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით. არარეალიზებადი სასაქონლო-მატერიალური მარაგები სრულად ჩამოიწერება ან დარეზერვებას.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

2.3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტების ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტები, ინტერპრეტაციები თუ ცვლილებები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ განმარტებითი შენიშვნების ინიციატივა

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორიცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით. კომპანიამ მე-13 შენიშვნაში როგორც ამჟამინდელი, ისე შედარებადი პერიოდის ინფორმაცია წარმოადგინა.

ქავან ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი
შპს „ACC Distribution“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნებში (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა და რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ.

კომპანია, საჭიროების შემთხვევაში, ამ სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლისთანავე აპირებს. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასსს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ამასთან, დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, მოთხოვნილია რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით.

კომპანია აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის და ხელახლა არ წარადგენს შედარებადი ინფორმაციას. კომპანია მუშაობს ფასს 9-ის მიღების ეფექტის რაოდენობრივად გამოხატვაზე, თუმცა ჯერჯერობით ამ ეფექტის რეალური შეფასება ხელმისაწვდომი არ არის.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, როდესაც ბასსს დაასრულებს ცვლილებების შეტანას, რითაც ფასს 15-ის ძალაში შესვლის თარიღი ერთი წლით გადავადდება. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც.

კომპანია, საჭიროების შემთხვევაში, ამ სტანდარტის მიღებას მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდით აპირებს მისი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქაიკა ყიფიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმს (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმს (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამოწვევას: მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულებები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება).

მოიჯარე ვალდებულია არიან ცალკე აღიაროს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებით საფინანსო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მოიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მოიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16 როგორც მოიჯარეებს, ისე მოიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შედეგებს ითვალისწინებს.

კომპანია ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის აპირებს. კომპანია მუშაობს ფასს 16-ის მიღების ეფექტის რაოდენობრივად გამოხატვაზე, თუმცა ჯერჯერობით ამ ეფექტის რეალური შეფასება ხელმისაწვდომი არ არის.

ხავეაძე ნიკოლოზი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. თუმცა, ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივისა და ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში.

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ამგვარი ცვლილებები, დადგომისთანავე, აისახება დაშვებებში.

(i) ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიაზე უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის საქონლის ფასების კლებამ 2017 წლის განმავლობაში. შედეგად, კომპანიამ განიცადა 349,605 ლარის წმინდა ზარალი, და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის მისი მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს 568,582 ლარით აჭარბებდა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების ღირებულება 10,673,850 ლარს შეადგენს.

ხელმძღვანელობამ მშობელ კომპანიასთან მოლაპარაკებები კომპანიის კაპიტალში დამატებითი შენატანის განხორციელებისა და დამატებითი საბრუნავი კაპიტალის უზრუნველყოფის მიზნით უწყვეტ რეჟიმში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შეძლებს სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებას სულ მცირე დამატებითი ერთი წლის ვადით. ამ ეტაპისთვის სესხი 2018 წლის აგვისტოშია დასაფარი. მშობელმა კომპანიამ გამოხატა მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს კომპანიას საქართველოში ფინანსური სახსრების მოზიდვით თვალსაზრისით სირთულეების წარმოქმნის შემთხვევაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ. მომზადების საფუძველი ემყარება ვარაუდს, რომ მშობელ კომპანიას გააჩნია როგორც შესაძლებლობა, ისე სურვილი, უზრუნველყოს კომპანია ფინანსური მხარდაჭერით, რაც ამ უკანასკნელს საშუალებას მისცემს, მოახდინოს საკუთარი აქტივების რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულებები ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

(ii) საგარანტიო რეზერვი

თუ მომწოდებელს არ სთავაზობს კლიენტებს საგარანტიო მომსახურებას თავის პროდუქტებზე საქართველოში, კომპანია ქმნის საგარანტიო მომსახურების ხარჯების ანარიცხებს. პროდუქტის შეკეთების ან შეცვლის ვალდებულებას კომპანია აღიარებს საგარანტიო ნაწილში, შემოსავლის აღიარების დროს. საგარანტიო რეზერვი არის სავარაუდო თანხა, რომელიც გამოითვლება პროდუქტის ოდენობების, ასორტიმენტის, შეკეთებისა და შეცვლის ხარჯების წარსული გამოცდილების საფუძველზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ მაქსიმალურად რეალურ გამოთვლას იმ თანხებისა, რომელიც საჭიროა კომპანიის მიერ გაყიდულ პროდუქტებზე ვალდებულებების შესრულებისთვის თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიამ აღიარა საგარანტიო რეზერვი 206,492 ლარის (2016 წ.: 486,362 ლარი) ოდენობით თავის ფინანსურ ანგარიშგებაში (მე-15 შენიშვნა).

ქავაძე ყ.ბ.ჭიჭი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(i) სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება და დაკორექტირება წმინდა სარეალიზაციო ღირებულების მისაღებად

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ აღმოჩნდა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება ან თუ მოსალოდნელია მომავალ პერიოდში გარკვეული საქონლის გაყიდვა საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, ასეთი აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შექმნა 133,659 ლარის (2016 წ.: 185,241 ლარი) წმინდა სარეალიზაციო ღირებულების რეზერვი. ხელმძღვანელობის აზრით ეს რეზერვი საკმარისია და სასაქონლო-მატერიალური მარაგის გაცხადებული ოდენობა სრულად არის აღდგენილი.

(iii) უიმედო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობის შეფასებით 10,815 ლარის (2016 წ.: ნული ლარი) ოდენობის უიმედო თანხების ჩამოწერა ყველაზე მეტი სიზუსტით ასახავს სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს (მე-9 შენიშვნა).

4. გაყიდვები

	2017	2016
კომპიუტერები, ნოუთბუქები და ნაწილები	20,646,048	26,286,961
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	4,991,786	7,386,112
საკომუნიკაციო აღჭურვილობა	4,546,588	7,770,450
კომპიუტერული პერიფერია/აქსესუარები	4,198,009	5,524,551
სხვა აღჭურვილობა	931,370	1,890,392
მომსახურება	3,189	6,661
ფასდათმობები გაყიდვებზე	(234,068)	(245,451)
	35,082,922	48,619,676

5. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2017	2016
კომპიუტერები, ნოუთბუქები და ნაწილები	19,728,250	25,027,295
საყოფაცხოვრებო ტექნიკა	4,660,029	6,754,914
საკომუნიკაციო აღჭურვილობა	4,545,772	7,496,238
კომპიუტერული პერიფერია/აქსესუარები	3,743,061	4,920,228
სხვა აღჭურვილობა	928,167	1,865,761
წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერილი საქონელი	(51,584)	98,537
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა	36,604	–
ფასდათმობები შესყიდვებზე	(501,661)	(1,542,710)
	33,118,598	44,620,263

თავისუფალი
ყიჩგოვი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. საოპერაციო ხარჯები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები
საიჯარო ხარჯი
ძირითადი საშუალებების ცვეთა
საქონლის ტრანსპორტირების ხარჯები
წარმომადგენლობითი ხარჯები
საოფისე მარაგები
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი
სხვა ხარჯები

2017	2016
851,531	1,190,654
193,573	173,492
74,558	80,847
63,099	73,666
36,978	85,870
33,637	54,715
25,181	7,423
609	385,850
159,151	194,062
1,438,317	2,246,579

7. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის "მოგებიდან გადასახადები" შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეეფასებინა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც გაუნაწილებელ მოგებაზე მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

წლის მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი
დროებითი სხვაობების წარმოქმნასა და აღდგენასთან დაკავშირებული
გადავადებული გადასახადის ხარჯი
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი
მოგების გადასახადის ხარჯი, სულ

2017	2016
-	414,519
-	114,964
-	529,483

ბიუჯეტის დირექტორი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

წმინდა დივიდენდები / დასაბეგრი მოგება
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით
გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი
ასახული შემოსავალი
სხვა

მოგების გადასახადის ხარჯი

2017	2016
-	334,600
15/85	15%
-	50,190
-	439,671
-	34,198
-	5,424
-	529,483

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

31 დეკემბრისთვის სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში შედიოდა:

გადასაყიდი საქონელი
რეზერვი

2017	2016
5,571,442	5,610,408
(133,657)	(185,241)
5,437,785	5,425,167

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,500,000 ლარის (31 დეკემბერი, 2016 წ.: 5,425,167 ლარი) ღირებულების მქონე სასაქონლო-მატერიალური მარაგები გამოყენებული იქნა ქართული ბანკისგან მიღებული მოკლევადიანი სესხების უზრუნველყოფისთვის (მე-13 შენიშვნა).

რეზერვში ცვლილებების შეჯერება შემდეგნაირად მოხდა:

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
წლის დანარიცხი
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წლის განმავლობაში გამოყენებული
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სულ
(86,704)
(98,537)
(185,241)
51,584
(133,657)

ქეთევან ყაჩაღი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. სავაჭრო დებიტორული ანგარიშები

31 დეკემბრისთვის სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებში შედიოდა:

დასაფარი სავაჭრო დებიტორული ანგარიშები

2017	2016
3,890,916	5,519,984
3,890,916	5,519,984

სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს პროცენტი არ ერიცხება და მათი დაფარვის ვადა, როგორც წესი, 30-35 დღეა.

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით შემდეგია:

	სულ	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული დებიტორული ანგარიშები				
			30 დღეზე ნაკლები	30 დღიდან 60 დღემდე	61 დღიდან 90 დღემდე	91 დღიდან 120 დღემდე	120 დღეზე მეტი
2017	3,890,916	3,444,648	383,808	33,231	745	20,323	8,161
2016	5,519,984	5,339,271	119,311	-	-	11,136	50,266

მე-16 შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია სავაჭრო დებიტორული ანგარიშების საკრედიტო რისკის შესახებ, რომელიც განმარტავს თუ როგორ მართავს და აფასებს კომპანია სავაჭრო დებიტორული ანგარიშების საკრედიტო ხარისხს.

რეზერვის თანხაში ცვლილების შეჯერება შემდეგნაირად მოხდა:

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
შემობრუნება წლის განმავლობაში
უიმედო სესხების ხარჯის ჩამოწერა
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წლის დანარიცხი
უიმედო სესხების ხარჯის ჩამოწერა
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სულ
47,659
(401)
(47,258)
-
10,815
(10,815)
-

ქავაჩი ყაჩაღი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში

2017	2016
1,624,157	267,992
3,690	2,495
1,627,847	270,487

2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია შეზღუდული წვდომის ან უზრუნველყოფისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში განთავსებულია 0%-4% პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს ქართულ ბანკებში. 2017 წლის განმავლობაში მიმდინარე ანგარიშებიდან საპროცენტო შემოსავალმა 5,197 ლარი (2016 წ.: 2,167 ლარი) შეადგინა.

11. კაპიტალი

2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 5,000 ლარს, ხოლო კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო „ACC Distribution UAB“.

კომპანიას 2017 და 2016 წლებში დივიდენდები არ გამოუცხადებია.

12. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

2017	2016
121,772	798,293
121,772	798,293

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ძირითადად შედგება საკომუნიკაციო სისტემებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის მომწოდებლების მიმართ ვალდებულებებისგან. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება, ჩვეულებრივ, 15-30 დღის ვადაში იფარება.

13. პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები

პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები

2017	2016
10,673,850	9,257,941
10,673,850	9,257,941

2017 წლის 31 დეკემბრის სესხები და გადასახდელი ანგარიშები შედგებოდა ქართული ბანკიდან აღებული ერთი, მოკლევადიანი, ლარში გამოხატული სესხისგან.

ლევან ყაჩაღი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. პროცენტური სესხები და გადასახდელი ანგარიშები (გაგრძელება)

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

პროცენტური სესხები და გადასახდელი ანგარიშები	1 იანვარი 2017	ფულადი ნაკადები	საფინანსო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	31 დეკემბერი 2017
	9,257,941	529,042	886,867	10,673,850
პროცენტური სესხები და გადასახდელი ანგარიშები	1 იანვარი 2016	ფულადი სახსრები ნაკადები	საფინანსო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	31 დეკემბერი 2016
	-	9,049,162	208,779	9,257,941

14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან შესაბამის ფინანსურ წელს განხორციელდა:

	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებისგან	დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები	დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები
მშობელი კომპანია				
2017				
2016	252,348	29,324,684	111,300	-
	229,216	34,731,084	430,263	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები				
2017				
2016	-	167,724	-	-
	291,539	224,534	-	35,672

გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება 2017 წლის განმავლობაში 148,484 ლარ შეადგენდა (2016 წ.: 128,478 ლარი), რაც ასახულია საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ბუჯან ყიფიანი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. პირობითი ვალდებულებები

15.1 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას საიჯარო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საოფისე ფართსა და სასაწყობე შენობაზე. იჯარის პირობები არ ზღუდავს კომპანიის საქმიანობას, რომელიც უკავშირდება დივიდენდებს, დამატებით სესხებსა და სხვა საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმებას.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მომავალი წლის განმავლობაში გადასახდელი მინიმალური იჯარა 48,267 ლარს შეადგენს (2016 წ.: 64,356 ლარი).

15.2 გაცემული გარანტიები

კომპანია თავის პროდუქტებზე კლიენტებს 6 თვიდან 3 წლამდე საგარანტიო პერიოდს სთავაზობს ზოგადი შეკეთებისთვის, პროდუქტის ტიპის მიხედვით. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში დაბრუნებული პროდუქტების უფასოდ შეკეთება ან გამოცვლა ხდება.

რეზერვის აღიარება ხდება ბოლო სამი წლის განმავლობაში გაყიდულ პროდუქტებზე მოსალოდნელი საგარანტიო მოთხოვნებისთვის, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით პროდუქციის შეკეთებისა და დაბრუნების თვალსაზრისით. საგარანტიო რეზერვის გამოთვლის მიზნით გამოყენებული დაშვებები ემყარებოდა მიმდინარე გაყიდვებისა და მიმდინარე ინფორმაციას პროდუქციის დაბრუნების შესახებ, ყველა გაყიდული პროდუქტის საგარანტიო ვადაზე დაყრდნობით.

მომრავა საგარანტიო რეზერვში ასეთი იყო:

	2017	2016
1 იანვრის მდგომარეობით	486,362	550,503
ჩამოწერა	(241,072)	(462,317)
გამოუყენებელი რეზერვის (აღდგენა) / წარმოშობა წლის განმავლობაში	(38,798)	398,176
31 დეკემბრის მდგომარეობით	206,492	486,362

15.3 საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს ბანკის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია სათანადოა და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო მდგომარეობა შენარჩუნდება.

ქავაზი ყახიძე

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო კრედიტორული დავალიანებისგან და პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული დებიტორული ანგარიშები და ნაღდი ფული მიმდინარე ანგარიშებზე.

კომპანიას აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. კომპანიის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივები ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით და, შესაბამისად, არ ემუქრება საპროცენტო რისკი.

კომპანია არის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილი იმართება და კონტროლდება საბოლოო მშობელი კომპანიის დონეზე. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიაღებდა. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანება) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, მათ შორის ბანკებში განთავსებული ანგარიშებიდან გამომდინარე.

კომპანიას გააჩნია შესაბამისი პროცედურები, რათა მუდმივად უზრუნველყოს, რომ კრედიტის პირობებით პროდუქციის მიყიდვა ხდება იმ მომხმარებლებზე, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი საკრედიტო ისტორია და იმ ოდენობით, რომ არ არჭყმატებოდეს საკრედიტო ბარათის ლიმიტს. საკრედიტო ლიმიტის ნებისმიერი ცვლილება უნდა დამტკიცდეს მშობელი კომპანიის საკრედიტო კომიტეტის მიერ მომხმარებლის საკრედიტო ისტორიის საფუძველზე.

კომპანიის მომხმარებელთა 90%-ს კომპანიასთან ოპერაციების განხორციელების რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს და გარდა ამისა, ზარალიც იშვიათად წარმოეშობათ. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ ემუქრება ზარალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც წლის განმავლობაში ჩამოწერილ თანხებს (მე-9 შენიშვნა).

საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითად ხდება ანგარიშების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

2017 წლის განმავლობაში მაქსიმალურმა საკრედიტო რისკმა სულ 5,515,073 ლარი შეადგინა (2016 წ.: 5,519,984 ლარი) და მოიცავდა სავაჭრო დებიტორული ანგარიშების საბალანსო ღირებულებას 3,890,916 ლარის 2016 წ.: 5,519,984 ლარი) ოდენობითა და ნაღდი ფულის ნაშთს საბანკო ანგარიშებზე 1,624,157 ლარის (2016 წ.: 267,992 ლარი) ოდენობით.

ხავეზა ყიფიშვილი

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანიის პოლიტიკაა შეინარჩუნოს საკმარისი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ან საკმარისი დაფინანსება ჰქონდეს პარტნიორისგან კრედიტის სახით, რომ ვალდებულებები შეთანხმებული თარიღებით დაფაროს, თავისი სტრატეგიული გეგმების შესაბამისად.

ბანკისგან მიღებული ნასესხები სახსრები მოკლევადიანია და დასაფარია 2018 წელს. კომპანიას არ განუზოციებია საფინანსო საქმიანობა მესამე მხარესთან, თუმცა მიაჩნია, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა იძლევა ადგილობრივი ბანკებიდან სესხების მიღების შესაძლებლობას. თუ ამგვარი დაფინანსება ხელმისაწვდომი არ იქნება, კომპანიას მიღებული აქვს პირობა მშობელი კომპანიისგან, რომ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მას საკმარისი რაოდენობის კრედიტით ან სხვა ტიპის დაფინანსების მისი ოპერაციების უწყვეტ რეჟიმში წარმოების მიზნით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი (დასაფარი) ფინანსური ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 11,416,176 ლარს (2016 წ.: 10,565,843 ლარი) შეადგენდა, რომლის დაფარვის ვადაც 1-დან 12 თვემდე მერყეობს. ფულადი ნაკადების ვადები და თანხები სავარაუდოდ არ იქნება განსხვავებული ვადიანობის ანალიზში აღწერილისგან.

(iii) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსების მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება კომპანიის საოპერაციო საქმიანობას (როდესაც შემოსავალი ან ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და უცხოურ ვალუტაში გამოხატულ მის ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანიას ძირითადად აქვს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	2017	2016
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,032,046	80,163
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	20,542	455,000
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	-	(252,540)
ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,052,588	282,623

საქართველო

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გამყარება/გაუფასურება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემცირებდა):

	სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
31 დეკემბერი, 2017 წ.		
აშშ დოლარი	13.5.00%	142,099
აშშ დოლარი	(9.5.00%)	(99,996)
31 დეკემბერი, 2016 წ.		
აშშ დოლარი	14.00%	39,670
აშშ დოლარი	(7.00%)	(19,835)

(iv) კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ფუნქციის უმთავრესი მიზანია დადებითი კაპიტალის შენარჩუნება. კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გარე შეზღუდვები და მოთხოვნები, ამიტომ კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა.

(v) სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის აქტივების და ვალდებულებების სამართლებრივი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან ანგარიშგების თარიღისთვის, მათი მოკლევადიანობიდან გამომდინარე. ყველა ის ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც შეფასებული ან გაცხადებულია, მესამე დონის იერარქიას არის მიკუთვნებული, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც პირველ დონეს მიეკუთვნებიან.

ქაჯან ყიჩკიძე

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N181194710



27.09.2018 წ

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

სანოტარო მოქმედების
დასახელება

თეა კიკუაშვილი

ნოტარიუსი

ქალაქი თბილისი, ლესელიძის ქ. #17

სანოტარო ბიუროს მისამართი

593235532, 2 93 30 83

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

50418723697618

სანოტარო მოქმედების

ინდივიდუალური ნომერი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდაშვიდ სექტემბერს მე, ნოტარიუსი თეა კიკუაშვილი, რომლის სანოტარო ბიუროს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17-ში, ვადასტურებ თარგმანი ქეთევან ყანჩაშვილის (დაბ. 14.09.1982, პირადი # 01003009915, გაც. სრს გლდანის სამსახურის მიერ 20.03.2009; მცხოვრები: ქ. თბილისი, მუხიანი, მე-4 ა მ/რ, კორპ.1, ბ.43, ბაკალავრის დიპლომი AB 0001886 გაც. 2003 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა თარგმანობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის შესახებ და რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

On the 27.09.2018 I, Tea Kikuashvili, the notary whose Notary Bureau is located at Tbilisi, 17, Leselidze Street, certify the authenticity of the signature of translator Ketevan Kanchashvili (born on 14.09.1982, personal number 01003009915 issued on 20.03.2009 by CRA Gldani Service; residing at: Mukhiani 4a micro district, Building 1, Apt. 43; Bachelor's diploma AB 0001886 issued in 2003 by Tbilisi Ilia Chavchavadze State University of Language and Culture). I warned the translator that she is responsible for the accuracy of the translation. She confirmed that she properly knows the English language and ensures accuracy of the translation.


გადახდილია 64-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა, ასევე დღგ 11.52 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა. ორი ეგზემპლარისთვის

Fee paid 64-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about the fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the fulfillment of notary activities, also VAT 11.52 GEL, according to Article 169th of Georgian Tax Code (including VAT), also 2-00 GEL, according to the Article 39th resolution (dated 29.12.2011).

ნოტარიუსი

/თეა კიკუაშვილი





**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

შპს „ACC Distribution“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 21 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცით. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,
შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

22 ოქტომბერი 2018 წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ACC Distribution“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 21 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცით. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 22 ოქტომბერი

ACC Distribution LLC მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანია შპს „ACC DISTRIBUTION“ წარმოადგენს ლიტვური კომპანიის UAB „ACC Distribution“-ის შვილობილ კომპანიას („კომპანია“). ჯგუფი ACC DISTRIBUTION შედგება 16 კომპანიისგან და წარმოდგენილია შემდეგ ქვეყნებში: ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, ბელარუსი, საქართველო. 2017 წელს ACC DISTRIBUTION ჯგუფის ბრუნვამ შეადგინა 230 მილიონი ევრო.

კომპანიას აქვს 10 წლიანი გამოცდილება საქართველოს ბაზარზე და წარმოადგენს კომპიუტერული და საოჯახო ტექნიკის ერთ-ერთ მსხვილ დისტრიბუტორს. იგი წარმოდგენილია საქართველოს ყველა რეგიონში.

კომპანია არის ისეთი ბრენდების დისტრიბუტორი, როგორიცაა: DELL, ASUS, ACER, LENOVO, MIDEA, PHILIPS, LEXMARK, MICROLAB და აშ. ჰყავს 600 ზე მეტი აქტიური მომხმარებელი. 60%-ზე მეტი გაყიდვები ხორციელდება ონლაინ პორტალზე www.accdistribution.net.

2017 წლის კომპანიის გაყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 35 082 922 ლარი, რომელიც 2016 წელთან შედარებით 38,58 % ნაკლებია. 2017 წლის შემოსავლების შემცირების მთავარი ფაქტორები იყო:

1. საქართველოს ბაზარზე არსებული მდგომარეობა-კურსის არასტაბილურობა, ზოგადად IT ბაზრის შემცირება.
2. მიმდინარე წელს კომპანიამ თითქმის შეწყვიტა Philips-ის ბრენდის ტელევიზორების გაყიდვა, ბრენდის საფასო პოლიტიკის შეცვლის გამო;
3. ე.წ B2B გაყიდვების შემცირება, წინა წლებისგან განსხვავებით კომპანიამ ვერ მოახერხა კონსოლიდირებული ტენდერების მოგება.

2. 2018 წელს კომპანია გეგმავს ახალი სასაწყობო და საოფისე ფართის დაქირავებას. ამ გადაწყვეტილებით იგი ახერხებს უფრო დიდი სასაწყობო და საოფისე ფართი დაიქირაოს ნაკლები დანარხარჯით კვადრატულ მეტრზე. ამასთან, ახალი სასაწყობო ფართი დაიგეგმა ლოჯისტიკური ნახაზების მიხედვით და გათვალისწინებულია თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნები. კომპანიამ ასევე განახორციელა დაახლოებით 150 000 ლარის ინვესტირება სასაწყობო სტელაჟებში, რომელიც კომპანიას საშუალებას მისცემს აითვისოს სასაწყობო ფართის დაახლოებით 3 ჯერ მეტი მოცულობა. ზემოთ აღნიშნული, შპს ACC Distribution-ს საშუალებას მისცემს შეამციროს ლოჯისტიკური დანახარჯები და ეფექტურად და დროულად მოემსახუროს მომხმარებლებს.

2018 წელს კომპანია გეგმავს განავითაროს და გაზარდოს ე.წ „თეთრი ტექნიკის“ გაყიდვები მნიშვნელოვნად, ამ მიმართულების განვითარება კომპანიამ 2016 წელს დაიწყო. 2018 წელს მენეჯმენტი გეგმავს საოპერაციო ციკლის შემცირებას, რაც მიღწეული უნდა იქნას თანამშრომლებზე გაცემული ახალი მიზნობრივი საბონუსო სისტემით.

თითოეული ადმინისტრაციის თანამშრომლის მიღწევები შეფასებული იქნება წლის განმავლობაში და შესაბამისად წახალისებული.

3. 2017 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული კვლევებში.

4. კომპანიას არ აქვს ფილიალები. საწყობი მდებარეობს თბილისში, საიდანაც ხდება კლიენტების მომარაგება.

5. 2017 წელს მენეჯმენტმა დაგეგმა კომპანიისთვის ახალი მიმართულების საყოფაცხოვრებო ტექნიკის განვითარება, რაც კომპანიის მიერ წარმატებით იქნა მიღწეული. მხოლოდ მაცივრების გაყიდვები კომპანიამ 2017 წელს 2016 შედარებით გაზარდა 92%-ით.

ჯამურად საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაყიდვების ზრდამ კი შეადგინა 37% და კომპანიამ შეძლო წარმოდგენილი ყოფილიყო ამ ტექნიკით საქართველოს ყველა მნიშვნელოვან რეგიონში.

2017 წელს კომპანიას მიზნად ჰქონდა ნოუთბუქების ბაზრის წილი ჰქონოდა დაახლოებით 30% (კონსოლიდირებული ტენდერების გარეშე), რაც ასევე წარმატებით იქნა მიღწეული. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერების მაკომპლექტებელი ნაწილების ბაზარი რაოდენობრივად 9% იქნა შემცირებული 2017 წელს, კომპანიამ მოახერხა 36% ბაზრის წილის შენარჩუნება.

6. იქედან გამომდინარე, რომ კომპანიას უწევს საქონლის უცხოურ ვალუტაში შეძენა, ხოლო საქონლის რეალიზაცია ადგილობრივ ვალუტაში, შესაბამისად ლარის კურსის გაუფასურების შედაგად კომპანიას უჩნდებოდა ზარალი

ლარის არასტაბილურობის გამო დოლართან მიმართებაში, კომპანიას უჭირდა მომავლის გეგმების განსაღვრა, ვინაიდან შექმნილი სიტუაცია კომპანიის კონტროლის ფარგლებს სცდებოდა.

შედეგად 2016 წელს, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, სავალუტო ვალდებულებები სრულიად დაეფარა. კომპანიამ აიღო ადგილობრივ ბანკში სესხი, და შედეგად სავალუტო ზარალის მაგივრად, კომპანიას 2017 წელს გაუჩნდა წინასწარ განსაზღვრული პროცენტის ხარჯი. სწორედ ამ გადაწყვეტილებასთან არის დაკავშირებული 2017 წელს კომპანიის მოგება-ზარალში ნაჩვენები პროცენტის ხარჯი 886 867 ლარი, რომელიც 678 088 ლარით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

7. 2017 წელს კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები.

8. 2017 წელს შპს „ACC DISTRIBUTION“-ს საშუალოდ ჰყავდა 28 თანამშრომელი დასაქმებული. ადმინისტრაციაში დასაქმებულების 65% ქალბატონია. მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსი იურიდიულ პირებს არ ავალდებულებს ანაზღაურონ დეკრეტული შვებულება, კომპანია წლების განმავლობაში ყველა ქალბატონს უნაზღაურებს დეკრეტული შვებულებას.

დასაქმებულებს უფლება აქვთ ისარგებლონ ანაზღაურებადი შვებულებით, სულ მცირე 24 სამუშაო დღით. თანამშრომლების უმეტეს ნაწილთან კომპანიას გაფორმებული აქვს უვადო შრომითი ხელშეკრულება.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია:

	რისკის და გაურკვევლობის აღწერა:	მენეჯმენტის საპასუხო ქმედება
1	სავალუტო რისკი - მარაგების უმეტესობის შესყიდვა ხდება უცხოურ ვალუტაში, ხოლო გაყიდვა ადგილობრივ ვალუტაში, არის პოტენციური რისკი ზარალისა ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო.	2017 წელს კომპანიამ თითქმის სრულად დაფარა სავალუტო ვალდებულებები გადაფასებებიდან ზარალის თავიდან ასარიდებლად და ბანკთან პერიოდულად აფორმებს ფორვარდულ ხელშეუბნებებს.
2	პოლიტიკური რისკი- არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, რომელსაც შეუძლია ნეგატიურ გავლენა მოახდინოს ბაზარზე, კომპანიის მომგებიანობაზე	მენეჯმენტი აქტიურად ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად მოახდინოს რეაგირება.

2016 და 2017 წელს კომპანია იყენებდა ფორვარდულ კონტრაქტებს ადგილობრივ ბანკთან, სავალუტო რისკის შესამცირებლად. ფორვარდული კონტრაქტით კომპანია წინასწარ აფიქსირებს მომავალ USD/GEL გაცვლით კურსს ბანკთან, გარკვეული პროცენტის სანაცვლოდ.

ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანიას გააჩნია შესაბამისი პროცედურები, რათა მუდმივად უზრუნველყოს, რომ კრედიტის პირობებით პროდუქციის მიყიდვა ხდება იმ მომხმარებლებზე, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი საკრედიტო ისტორია და იმ ოდენობით, რომ არ აღემატებოდეს წინასწარ განსაზღვრულ საკრედიტო ლიმიტს. საკრედიტო ლიმიტის ნებისმიერი ცვლილება მტკიცდება მშობელი კომპანიის საკრედიტო კომიტეტის მიერ მომხმარებლის საკრედიტო ისტორიის საფუძველზე.

გაყიდვების უმეტესი ნაწილი ხორციელდება შემდგომი გადახდის პირობით.

გაყიდვების 97% ხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით.
დებიტორული დავალიანების დღეები 2017 წელს საშუალოდ შეადგენს 40-45 დღეს.
2017 წელს საშუალო მარაგების დღეები შეადგენს 60-65 დღეს.

10. 2017 წელის მდგომარეობით კომპანიას არ ეხება რაიმე ტიპის გარემოს დაცვითი რეგულაცია.

გენერალური დირექტორი
გიორგი კვახაძე
22 ოქტომბერი, 2018 წ.

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი კვახაძე

22 ოქტომბერი, 2018 წ.

